ცვლილება საბანკო პროდუქტებით მომსახურების შესახებ ხელშეკრულებაში

(ფიზიკური პირებისთვის)

1. ფიზიკური პირების საბანკო პროდუქტებით მომსახურების შესახებ ხელშეკრულებას დაემატოს 9.5, 10.3.3 10.3.4 პუნქტები და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„9.5 ყოველგვარი საეჭვოობის/გაურკვევლობის გამორიცხვის მიზნით, ამ ხელშეკრულების 9.1.2 და 9.1.3 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებამდე ან/და კლიენტის მონაცემებში ნებისმიერი მნიშვნელოვანი ცვლილების განხორციელებისას, ბანკი უფლებამოსილია საბანკო ოპერაციებზე (გადარიცხვები, კონვერტაციები, ინტერნეტ ბანკით, ბიზნეს ბარათით ან/და ბანკი კლიენტით მომსახურება და ა.შ) ცალმხრივად დააწესოს შეზღუდვები და დაადგინოს შეზღუდვის მოსახსნელად განსახორცილებელი ქმედებები ან/და წარმოსადგენი დოკუმენტაცია. ამასთან, ბანკი არ არის ვალდებული დააწესოს შეზღუდვა და ზემოაღნიშნული დოკუმენტების ბანკში წარდგენამდე, ბანკი უფლებამოსილია განახორციელოს საბანკო ოპერაციები ადრე წარდგენილი საბუთებისა და ხელმოწერის ნიმუშის საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც უკანონი შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ კანონმდებლობიდან გამომდინარე ბანკს ეკრძალება საბანკო ოპერაციის განხორციელება დოკუმენტის წარმოდგენამდე/ქმედების განხორციელებამდე.“

10.3.3 ნებისმიერი სახით დამდგარ ზიანზე, მათ შორის მესამე პირის მიმართ, რომელიც გამოწვეულია 9.5 პუნქტით გათვალისწინებული საბანკო ოპერაციების შეზღუდვის შედეგად.

10.3.4 ნებისმიერი სახით დამდგარ ზიანზე, მათ შორის მესამე პირის მიმართ, რომელიც გამოწვეულია კლიენტის მიერ 9.1.2 და 9.1.3 პუნქტით გათვალისწინებული განახლებული დოკუმენტების წარდგენამდე, კლიენტის მიერ ბანკში ადრე წარდგენილი საბუთებისა და ხელმოწერის ნიმუშის საფუძველზე განხორციელებული საბანკო ოპერაციების შედეგად.